



ს.ს.ი.პ. კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 24-7

ქ. თბილისი

28 იანვარი 2020 წელი

სსიპ - კოლეჯის "სპექტრი" პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესის, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურის და სსიპ - კოლეჯში "სპექტრი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულარული/დუალური) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - კოლეჯის "სპექტრი" დირექტორის მოადგილის ვარლამ ავალიშვილის მიერ 2020 წლის 24 იანვარს N74197 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილია შემდეგი წესები დასამტკიცებლად: სსიპ - კოლეჯის "სპექტრი" პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესის, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა; სსიპ - კოლეჯში "სპექტრი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულარული/დუალური) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, სსიპ - კოლეჯის "სპექტრი" წესდების მე-5 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - კოლეჯის "სპექტრი" პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესის, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა N1 დანართის თანახმად.
2. დამტკიცდეს სსიპ - კოლეჯში "სპექტრი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულარული/დუალური) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი N2 დანართის თანახმად.
3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა ინა ქვირივიშვილმა.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

როინ ტაკიძე



დირექტორი